ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება საქართველოს მაშტაბით (ნავთობბაზა - ავტოგასამართი სადგური)

ტექნიკური დავალება/საერთო მონაცემები

- **ზოგადი ინფორმაცია ტენდერის ობიექტისა და საგნის შესახებ**

- ღია ტენდერის საგანი: ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება საქართველოს მაშტაბით (ნავთობბაზა-ავტოგასამართი სადგური).
- ტენტერის ვადა: 1 (ერთი) წელი ხელშეკრულების გაფორმების დღიდან;
- 2027 წელს გადასაზიდი ნავთობპროდუქტების დაგეგვილი მოცულობა - 65 093 775 ლიტრი;
- ტრანსპორტირებია ხორციელდება შემდეგი ნავთობბაზებიდან: ძეგვი, ფოთი/ყულევი, გაჩიანი/ფონიჭალა, ქუთაისი/სამტრედია
- ტენდერი იყოფა ოთხ ლოტად (დანართი №1), რომელიც გადანაწილებულია რეგიონალური პრინციპით და მიწოდების ოპტიმალური მანძილის შესაბამისად;
- ზოგადი ინფორმაცია დამკვეთის შესახებ: შპს „ლუკოილ-ჯორჯია“. მისამართი; საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჰეიდარ ალიევის სანაპირო, N11, ტელ.: +995 (32) 238-99-92. E-mail:infogeorgia@eu.lukoil.com

- **გამარჯვებული კომპანია უნდა ფლობდეს:**

- სატვირთო მანქანების საკუთარი პარკი, რომელსაც შეუძლია ზემოაღნიშნული მოცულობის გადაზიდვის უზრუნველყოფა;
- საკუთარი ავტოსადგომი, რომელიც უნდა იყოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში;
- სატვირთო მანქანების სარემონტო სახელოსნო;
- ერთი და იგივე ტიპის (ბენზინი, დიზელი) ნავთობპროდუქტების გადასაზიდან გამოყებებულ უნდა იყოს ცალკეული სატვირტო მანქანები ან ცალკეული განყოფილებები;
- სატვირთო მანქანები აღჭურვილი უნდა იყოს GPS-სისტემით;
- სატვირთო მანქანები აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ვიდეო-კამერებით;
- სატვირთო მანქანები აღჭურვილი უნდა იყოს ნავთობპროდუქტების დაბლიდან შევსების სისტემით;
- უნდა წარმოადგინოს სრულ განაჯვეთზე მომუშავე მინიმუმ ორი მექანიკოსი დასადასტურებლად;
- უნდა გააჩნდეს სწრაფი რეაგირების ჯგუფი მიმდინარე პრობლემებისა და გაუმართაობის სწრაფად გადასაჭრელად, აღჭურვილი ყველა საჭირო ხელსაწყოებითა და მასალებით (ტუმბო სატუმბი, ბუქსირების ბარი და ა.შ.);
- ყველა სატვირთო მანქანას უნდა ჰქონდეს განყოფილებების მოცულობებიც კალიბრაციის მოქმედი სერტიფიკატი, რომლის ასლები უნდა გადაეცეს შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს.

- **<u>ტენდერის კომერციული კომპონენტი:</u>**

- განმცხადებლები სთავაზობენ ერთიან ტარიფს თითოეულ ლოტზე ნავთობბაზების შესაბამისად;
- ტარიფი გადასაზიდ ნავთობპროდუქტებზე დგინდება ერთი ლიტრი/კილომეტრზე გადაანგარიშებით, ტრანსპორტირების ფასი აისახება ლარში დღგ ჩათვლით;
- ტენდერში გამარჯვებული განმცხადებლის ვალდებულებების განუყოფელი ნაწილია დიზელის საწვავის შეძენა შპს „ლუკოილ- ჯორჯია“-სგან. საწვავის შეძენის პროცედურა და ფასი განიხილება ინდივიდუალურად;
- გადაზიდვის ტარიფის გადახედვა შესაძლებელია ყოველთვიურად „ევრო დიზელის“ ტიპის საწვავზე შპს „ლუკოილ-კჯორჯია“-ს საცალო ვაჭრობის ქსელში დადგენილი სარეალიზაციო ფასის (+/-) 3%-ით ან მეტით ცვლილების შემთხვევაში, რაც იწვევს ტარიფის კორექტირებას (+/-) 50%-ის ოდენობით (მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ „ევრო დიზელის“ ტიპის საწვავზე შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს მიერ დადგენილი საცალო სარეალიზაციო ფასი იზრდება 3%-ით შესაბამისად, ნავთობპროდუქტების გადაზიდვის ტარიფიც იზრდება 1,5%-ით და პირიქით.

- **<u>ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გამარჯვებული გადამზიდავი კომპანია ვალდებულია:</u>**

- გამარჯვებული კომპანია ვალდებული იქნება ხელშეკრულების დადებამდე (ხელშეკრულების ვადის გასვლამდე) წარმოადგინოს გადამზიდავის პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის ასლი;
- 15 დღის ვადაში უზრუნველყოს მომსახურების მანქანების დაზღვევა;
- უზრუნველყოს სატვირთო მანქანებზე სპეციალური მოაჯირების დაყენება აგს-ზე უსაფრთხო ასვლისა და დაშვებისთვის გადმოტვირთვისა და დატვირთვის პროცედურის დროს;
- უზრუნველყოს მანქანის ტექნიკური მომსახურება, საწვავის შევსება და სისუფთავე ხელშეკრულების მთელი პერიოდის განმავლობაში;
- უზრუნველყონ სატვირთო მანქანების მძღოლები, მექანიკოსები და სხვა პერსონალი სპეციალური ანტისტატიკური ტანსაცმელით, რომელიც ხელს უშლის ნაპერწკალის გაჩენას, სპეც. ფეხსაცმლით, ჩაფხუტებითა და უსაფრთხოების ღვედებით.
- თანამშრომლებს ჩაუტაროს სპეციალური ტრენინგები უსაფრთხოების დაცვის ნორმებთან დაკავშირებით, უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის წესების დაცვა შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს ობიექტებში.
- დაიცვას ნავთობპროდუქტების მიღების წესები, რომელიც იქნება ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.